



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 89

18 მარტი
“ --- ” ----- 2022 ♡

ა. თბილისი

ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №6-ში მდებარე 2129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა“ ქვეპუნქტის 118¹ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:


1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №6-ში მდებარე 2129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 მარტის №22.279.331 და „ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №6-ში მდებარე 2129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 მარტის №22.279.331 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 10 მარტის №22.316.348 განკარგულებებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №6-ში მდებარე 2129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით, 672 800 (ექვსას სამოცდათორმეტი ათას რვაასი) ლარად პრივატიზებაზე, იბა „სხივი 91“-სთვის გასაფორმებელი, „ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა №6-ში მდებარე 2129 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.067) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 მარტის №22.279.331 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 10 მარტის №22.316.348 განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ხელშეკრულება
უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ

ქ. თბილისი

----- წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების მხარეები და პრივატიზების საგანი

- 1.1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 118¹ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის [●] განკარგულების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს [●] განკარგულების საფუძველზე, ჩვენ, ხელშეკრულების მხარეები: ერთი მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით სსიპ - ქონების მართვის სააგენტო (შემდგომში - „სააგენტო“), მის. ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7, წარმოდგენილი [●] მიერ (პ/ნ: [●]) და მეორე მხრივ, იბა „სხივი 91“ (შემდგომში - „ქონების შემძენი“/ „ამხანაგობა“), წარმოდგენილი [●] მიერ (პ/ნ: [●]), მის: ქ. თბილისი, [●], ვდებთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:
- 1.2. ამ ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას - ქალაქ თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.17.13.040.067)) (შემდგომში - „პრივატიზების საგანი“/ „მიწის ნაკვეთი“).
- უძრავი ქონების მახასიათებლები განსაზღვრულია საჯარო რეესტრიდან ამონაწერით: განცხადების რეგისტრაციის ნომერი: N[●] - მომზადების თარიღი [●]

მუხლი 2. საპრივატიზებო საფასური, მისი გადახდის წესი და გადახდის პირობები

- 2.1. ხელშეკრულების 1.2. პუნქტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საფასურად განისაზღვრა ფასი - 672 800 (ექვსას სამოცდათორმეტი ათას რვაასი) ლარი.
- 2.2. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების დადებიდან 3 (სამი) თვის ვადაში.
- 2.3. საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:
მიმღები: სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773390
დანიშნულება: არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების გაყიდვიდან.

მუხლი 3. საკუთრების უფლების გადაცემა

ქონების შემძენს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება გადაეცემა საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. ქონების შემძენის მიერ საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით, ამ ხელშეკრულების გარდა, სარეგისტრაციო სამსახურს უნდა წარედგინოს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა.

მუხლი 4. მხარეთა განცხადებები და ვალდებულებები

- 4.1 სააგენტო აცხადებს, რომ მიწის ნაკვეთი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებას, უფლებრივად უნაკლოა, არ არის იპოთეკით დატვირთული და არ არის დაყადაღებული.
- 4.2 ხელშეკრულების მხარეები აცხადებენ, რომ მიწის ნაკვეთის ხარისხი შეთანხმებულია მათ შორის და არ არის სადავო.
- 4.3 ქონების შემძენი აცხადებს და ადასტურებს, რომ ამხანაგობას ან/და მის რომელიმე წევრს თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 27 დეკემბრის N20.12.526 გადაწყვეტილების, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1991 წლის 23 თებერვლის N04.17.64 გადაწყვეტილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 5 ივნისის N11.22.239 დადგენილების საფუძველზე ან/და მათგან გამომდინარე არ მიუღიათ სხვა რაიმე უძრავი ქონება ან/და რაიმე სახის მატერიალური ქონებრივი სიკეთე სასამართლოს, მუნიციპალიტეტის ან/და სახელმწიფოს რომელიმე ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე ან/და მათგან გამომდინარე.
- 4.4 ქონების შემძენისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის ნაწილზე, კერძოდ 203 კვ.მ-ზე, ვრცელდება სერვიტუტის უფლება და აღნიშნული არ მიიჩნევა მითითებული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.
- 4.5 ქონების შემძენისთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ მიწის ნაკვეთის მცირე ნაწილზე ვრცელდება სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) და აღნიშნული არ მიიჩნევა მითითებული მიწის ნაკვეთის უფლებრივ ან/და ნივთობრივ ნაკლად.
- 4.6 სააგენტო ვალდებულია, საპრივატიზებო საფასურის გადახდის დადასტურების შემდგომ, დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით გასცეს საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა ქონების შემძენისთვის გადაცემულ ქონებაზე.
- 4.7 ქონების შემძენი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 27 დეკემბრის N20.12.526 გადაწყვეტილების, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1991 წლის 23 თებერვლის N04.17.64 გადაწყვეტილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 5 ივნისის N11.22.239 დადგენილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებიდან (საქმე N3/2898-20) გამომდინარე, ხელშეკრულების საფუძველზე მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღებით, მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მოთხოვნის უფლება წარმოეშობა ამხანაგობის ყველა წევრს (მათ შორის, დღეის მდგომარეობით იდენტიფიცირებულ და არაიდენტიფიცირებულ პირებს), ასევე, შესაძლოა არსებობდნენ მოთხოვნის უფლების მქონე სხვა პირები. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირებს მოთხოვნის უფლება წარმოეშობათ მხოლოდ ქონების შემძენის მიმართ და არცერთ შემთხვევაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ან/და სახელმწიფო ორგანოების მიმართ.
- 4.8 ქონების შემძენი იღებს ვალდებულებას, რომ მიწის ნაკვეთიდან დააკმაყოფილოს ამხანაგობის დღეის მდგომარეობით იდენტიფიცირებული ყველა წევრი. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის არაიდენტიფიცირებული ამხანაგობის წევრების ან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის [●] N [●] განკარგულებაში მითითებული სამართლებრივი საფუძვლით, სხვა მოთხოვნის უფლების მქონე ნებისმიერი პირის მიმართვის შემთხვევაში, ასევე, უზრუნველყოს მათი დაკმაყოფილება.
- 4.9 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ქონების შემძენი ადასტურებს, რომ ქ. თბილისში, დოლაბაურის ქუჩა N6-ში მდებარე N01.17.13.040.067 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული

- 2129 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღებით, ამხანაგობა/მისი წევრები უარს აცხადებენ თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1990 წლის 27 დეკემბრის N20.12.526 გადაწყვეტილების, თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 1991 წლის 23 თებერვლის N04.17.64 გადაწყვეტილების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1998 წლის 5 ივნისის N11.22.239 დადგენილებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებიდან (საქმე N3/2898-20) გამომდინარე და მასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების და ასევე, სახელმწიფოს მიმართ ყოველგვარ მოთხოვნაზე, საჩივარზე, სარჩელზე, ნებისმიერი სახის სამართლებრივ დავაზე ან/და პრეტენზიაზე.
- 4.10 ქონების შემძენი ვალდებულია უზრუნველყოს შემძენილ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის გაცემისთანავე, გონივრულ ვადაში.
- 4.11 ქონების შემძენი ვალდებულია საკუთრებაში გადაცემული ქონების შემდგომი გამოყენებისას დაიცვას კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები.
- 4.12 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენი სააგენტოსგან იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ეკისრება ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული პირგასამტეხლო.
- 4.13 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სააგენტოს მიერ დაწესებულ დამატებით ვადაში შეუსრულებლობა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა, სააგენტოს მიერ განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად.
- 4.14 ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ამ ხელშეკრულებით პრივატიზებული უძრავი ქონება ბრუნდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ამასთან, ქონების შემძენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ არ აუნაზღაურდებათ გადახდილი თანხები და გაწეული ხარჯები.

მუხლი 5. პირგასამტეხლო

- 5.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, ქონების შემძენს ეკისრება პირგასამტეხლო.
- 5.2 საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლო განისაზღვრება გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მაგრამ არანაკლებ 5 (ხუთი) ლარისა. პირგასამტეხლოს დარიცხვა გაგრძელდება საპრივატიზებო საფასურის გადასახდელი ნაწილის სრულად გადახდამდე ან სააგენტოს მიერ ხელშეკრულების 4.13 პუნქტის შესაბამისად ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლამდე, იმის მიხედვით რომელი გარემოებაც დადგება უფრო ადრე.
- 5.3 პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს თანხის შემდეგ ანგარიშზე ჩარიცხვით: მიმღები სახელმწიფო ხაზინა: TRESGE22
სახაზინო კოდი: 300773287
(შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან).

მუხლი 6. მხარეთა შორის ურთიერთობის სამართლებრივი რეგულირება

- 6.1 მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობები რეგულირდება ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 6.2 მხარეთა შორის დავის არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 7. სხვა პირობები

- 7.1. ხელშეკრულების ყველა გვერდი ხელმოწერილი უნდა იყოს მხარეთა მიერ.
- 7.2. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან.
- 7.3. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
- 7.4. ხელშეკრულება შედგენილია 3 (სამი) თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, ქართულ ენაზე. ერთი ეგზემპლარი წარედგინება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, დანარჩენი გადაეცემა მხარეებს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

იბა „სხივი 91“
